პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 224 (13916) | შაბათი, 23 სექტემბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

საიუბილეო ვახტზეა საბჭოთა საქართველო

პირველად ჩვენს ქვეყანაში

ქუთაისი. (საკ. კორ.). ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივმა საიუბილეო ვახტზე კიდევ ერთი ახალი გამარჯვება მოიპოვა. ამ დღეებში დაიწყო ახალი ტიპის ელექტროცენტრიდანული ტუმბოების სერიული გამოშვება.

ამ ტიპის ტუმბო, რომელიც ნავთობის მრეწველობისათვის არის განკუთვნილი, პირველია ჩვენს ქვეყანაში. ტუმბოს შეუძლია დღეღამეში 1.200 მეტრის სიღრმიდან 130 კუბური მეტრი ნავთობი ამოტუმბოს. 15 ცალი ასეთი ტუმბო უკვე გაიგზავნა აზერბაიჯანის ნავთის სარეწებში.

ახლა ქარხნის კოლექტივი აითვისებს ჭაბურღილებიდან ნავთობის ამოსატუმბავ უფრო მძლავრ ტუმბოებს. ყველაზე დიდი წარმადობისა იქნება „ეცნ-6-100-1.500“ ტიპის ჩასაყვინთი ტუმბო, რომელიც ნავთობს 1.500 მეტრის სიღრმიდან ამოქაჩავს. ათვისების პროცესშია აგრეთვე ჩასაყვინთი ცვეთგამძლე ელექტროტუმბოები, რომლებიც უმეტესად ჭარბსილიან ნიადაგებში იქნება გამოყენებული.

ზეგეგმითი პროდუქცია

თერჯოლა. (საკ. კორ.). საიუბილეო წლის ვალდებულებათა შესრულებისათვის წარმატებით იბრძვიან თერჯოლის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის საწარმოთა კოლექტივები.

კომბინატის კოლექტივმა საიუბილეო წელს აწარმოა 300 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია და უკვე შეასრულა წლიური დავალება.

ეძღვნება დიად ოქტომგერს

გაიხსნა რესპუბლიკური ფოტოგამოფენა

მხატვრულ ფოტოგრაფიას აქვს ერთი შესანიშნავი თვისება. იგი დოკუმენტური სიზუსტით გადასცემს თამობებს ყოველივეს, რაც ფირზე აღბეჭდეა ფოტოსაქმის ოსტატებმა.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მეოთე რესპუბლიკური ფოტოგამოფენა, რომელიც 22 სექტემბერა გაიხსნა ხელოვნების მუზეუმის სახლში, უწინარეს ყოვლისა მიგიხიდავთ თემატიკით. იგი ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

გაძოფენაზე ექსპონირებულია სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საიუბილეო ფოტოკონკურსზე წარმოდგენილი 300 საუკეთესო ნამუშევარი. ამ ფოტოსურათების ავტორები არიან არა მარტო პროფესიონალი ფოტოჟურნალისტები, არამედ მოყვარულებიც. ჭარბობს ნამუშევრები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ხალხის ყოველდღიურ საქმიანობას. მკაფიობა, ბუნების სათუთი გრძნობა, სიუჟეტის ლირიკული ჩაწვდომის უნარი, გულწრფელობა — აი რა ახასიათებს საზოგადოებრიობის სამსჯავროზე წარმოდგენილ საუკეთესო ნამუშევრებს.

ფოტოსურათები ასახავენ საბჭოთა ადამიანების, ჩვენი თანამედროვეობის — შრომის მოწინავეთა, მეცნიერთა, რევოლუციის ჯარისკაცთა, კოლმეურნეთა, ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატთა ცხოვრებასა და საქმიანობას.

ყველა ექსპონირებულ ფოტონაწარმოებში იგრძნობა დროის მაჯისცემა, დიდი პატრიოტული აღმავლობა, რომლითაც ჩვენი ხალხი ეგებება აღნიშნოს ნათელი და სასიხარულო დღესასწაული — საბჭოთა სახელმწიფოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილე.

გაძოფენა გახსნა საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრმა ფ. დუმბაძემ, რომელმაც გულთბილად მიულოცა გამოფენის მოხაწილეებს, ესურვა მათ ახალი, დიდი შემოქმედებითი წარმატებანი და რწმენა გამოთქვა, რომ გამოფენის ექსპონატებს ღირსეულად შეაფასებენ და მათ შორის საუკეთესოებს დაჯილდოებენ რესპუბლიკურ ფოტოკონკურსზე.

გამოფენის მსახველებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ხალხის ცხოვრების მემატიანეთა, საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემის ფოტოსაქმის ოსტატთა, ფოტომოყვარულთა ნამუშევრები.

გამოფენა მიმდინარეობს დეკემბრის „ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის“.

გახსნის დღეს გამოფენაზე იყვნენ **დ. სტურუა, რ. ფრუიძე, გ. ძოწენიძე, შ. ჭანუყვაძე, გ. ჯავახიშვილი,** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **რ. მეტრეველი,** რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. ლაბახუა,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე,** საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი **ე. სალუქვაძე,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეკონომიკის, საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგე **დ. მამულაძე.**

ახსნა-განმარტებას იძლეოდა რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი **ფ. დუმბაძე.** (საქდესი).

ზრომითი ნოგათეგი

● **თელავის** რაიონის მშრომელებმა პირობა შეასრულეს, — აცნობეს „კომუნისტს“ რედაქციას საქართველოს კპ თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბარდოშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ი. მესტკირიშვილმა, — სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ცხრა თვის გეგმა შესრულდა 102,9 პროცენტით, რძისა — 100,3 პროცენტით, კვერცხისა — 103,7 პროცენტით, აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა — 109,6 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე სახელმწიფოსათვის ტყავნედლეულის, ბოსტნეულის და გარეული ხილის მიყიდვის გეგმები.

● **საიუბილეო** წელს ახალი წარმატება მოიპოვეს მაიაკოვსკის რაიონის მშრომელებმა. სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა გაჭიდულია 101,5 პროცენტით, — ეს აცნობეს „კომუნისტს“ რედაქციას საქართველოს კპ მაიაკოვსკის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. კოხოძემ, რაიისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. ჭარქოსაძემ.

● **საქართველოს** კპ სამტრედიის რაიკომის პირველმა მდივანმა **ა. ჩიქოვანმა,** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ა. მანჯგალაძემ,** სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **გ. ქართველიშვილმა** გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობს, რომ სამტრედიელმა მშრომელებმა საიუბილეო წელს ახალი წარმატებები მოიპოვეს. სახელმწიფოს მიეყიდა 867 ტონა ხორცი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 677 ტონისა. 1.446 ტონა რძე ნაცვლად ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული 1.403 ტონისა, 3 მილიონ 48.000 ცალი კვერცხი ნაცვლად 3 მილიონ 15 ათასი ცალისა. მოიკრიფა 1.325 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.270 ტონისა. დიდი გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე სახელმწიფოსათვის ტყავნედლეულის, ბეწვეულის, ქურქეულის მიყიდვის ცხრა თვის გეგმა.

● **ბოდბეთაფის** რაიონის მშრომელებმა 15 სექტემბრისათვის შეასრულეს რძის მიყიდვის წლიური გეგმა. გაყიდულია 87 ათასი ცენტნერი რძე.

ბოგდანოვკელმა მეცხოველეებმა გადაწყვიტეს 1 ოქტომბრისათვის შეასრულონ თავიანთი ვალდებულება — სახელმწიფოს მიჰყიდონ 90 ათასი ცენტნერი რძე, ხოლო 7 ნოემბრისათვის წლიური ვალდებულების გადაჭარბებით — კიდევ 2.000 ცენტნერი. (საქდესი).

გეგმის გადამეტებით

ცხინვალი. (საკ. კორ.). **დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას ცხინვალის ქიმიური ქარხანა — ქალაქის ყველაზე ახალგაზრდა საწარმო. 11 სექტემბრისათვის საწარმომ პირნათლად გაანაღდა წლიური საწარმოო პროგრამა. გამოშვებულია 1.342 ათასი მანეთის ღირებულებისა. ამჟამად ქიმიური ქარხანა 1968 წლის ანგარიშში მუშაობს.**

წერილებზე მუშაობის ლენინური პრინციპები

PRAVDA

22 სექტემბრის მოწინავე

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდაივე ჩვენმა პარტიამ უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა მშრომელთა წერილებსა და განცხადებებზე მუშაობას. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა ყურადღებითა და გულისხმიერებით ეკიდებოდა თვითეულ წინადადებას, თვითეულ საჩივარსა და თხოვნას ვ. ი. ლენინი. მის სახელზე, აგრეთვე პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, გაზეთების რედაქციებში მიღებული ფოსტა მას—განწყობილების, „დღიური ჯირვარამის“ შესახებ ინფორმაციის მდიდარ წყაროდ მიაჩნდა და თვითონაც ხარგებლობდა ყოველი შესაძლებლობით, რომ ესაუბრა ხალხის წარმომადგენლებთან, მათი საშუალებით გაეგო მასების ფიქრები და მისწრაფებანი.

ეს ლენინური პრინციპები უდევს საფუძვლად წერილებზე მუშაობას. პარტიას ისინი ხალხთან ურთიერთობის განმტკიცებისა და გაფართოების ქმედით საშუალებად მიაჩნია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXIII ყრილობაზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის საქმიანობისათვის მშრომელთა წერილებს, რომლებიც გამოხატავენ მათს ნდობასა და პატივისცემას პარტიისადმი, მათს ეზრს საერთო პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ფართო წრის საკითხებზე. პარტია, ხაზი გაუსვა მან, უდიდესი ყურადღებით ეკიდება მშრომელთა წერილებს, მათს შენიშვნებს, წინადადებებსა და რჩევას.

განსაკუთრებით მდიდარი და შინაარსიანია ფოსტა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის წინ. წერილებში მხურვალედ იწონებენ პარტიისა და მთავრობის ლენინურ პოლიტიკას, გამოთქვამენ სიამაყეს ჩვენი სოციალური მონაპოვრებისა და სამეურნეო წარმატებებისათვის, გვიამბობენ, თუ როგორ ემზადებიან ადგილებზე დღესასწაულისათვის. წერილები მკაფიოდ და სრულად გამოხატავენ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ აზრს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილება „წერილების განხილვისა და მშრომელთა მიღების ორგანიზაციისათვის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“, რომლის შინაარსი „პრავდამ“ გამოაქვეყნა, აჯამებს ამ მიმართულებით პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, სამეურნეო ორგანოების უკანასკნელი წლების დიდი და ნაყოფიერი საქმიანობის შედეგს. ამასთანავე ცენტრალურმა კომიტეტმა ყურადღება მიაპყრო წერილებზე მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს. ამ მუშაობის მდგომარეობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება პარტიის XXIII ყრილობის მიერ წამოყენებულ მაღალ მოთხოვნებს. ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა განვავითაროთ მასების ინიციატივა და შემოქმედებითი აქტივობა, გაგაძლიეროთ ყურადღება მოსახლეობის ყოველდღიური საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი.

ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის! — ასეთია ჩვენი სოციალისტური საზოგადოების დევიზი. ეს უნდა ახსოვდეს ყველას, ვინც წერილებზე მუშაობს, პასუხს სცემს მათ. თვითეული წინადადების, თვითეული თხოვნისა და საჩივრის გულდასმით და ობიექტურად განხილვა ურღვევი კანონი უნდა იყოს. ეს ხომ საბჭოთა მოქალაქეებისაგან მოდის! მიუხედავად ამისა არის შემთხვევები, როცა გაუმართლებლად აყოვნებენ პასუხს, ფორმალურ-ბიუროკრატიულად ეკიდებიან განცხადებებს, როცა დახმარების ან რჩევის ნაცვლად მშრომელები უსულგულო ფორმალურ პასუხს იღებენ. სამწუხაროდ, ისეც ხდება, რომ წერილი ხელში უვარდება იმას, ვისაც უჩივიან. ამის შედეგად, როგორც წესი, თავისი წერილის განხილვით უკმაყოფილო ავტორი იძულებულია დახმარებისათვის მიმართოს ცენტრალურ პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებს ან ხელმეორედ წეროს განცხადებანი.

ყველა ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად პარტიულმა კომიტეტებმა უნდა აამაღლონ პასუხისმგებლობა წერილებზე მუშაობისათვის, უფრო მკაცრი პასუხი მოსთხოვონ იმათ, ვინც ურიგდება საქმის გაჭიანურებასა და ფორმალიზმს, ცდილობს ჩაახშოს კრიტიკა. განცხადებებსა და საჩივრებს უწინარეს ყოვლისა თვით საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები უნდა განიხილავდნენ. განუხრელად უნდა გავაუმჯობესოთ მშრომელთა მიღების ორგანიზაციაც. ყველა დაწესებულებაში როდია განსაზღვრული მოსახლეობისათვის მოსახერხებელი მიღების დღეები და საათები. ხშირად მშრომელებს იღებენ მუშაკები, რომლებსაც საკითხების გადაჭრის უფლება არა აქვთ.

ამ ბოლო დროს რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო პარტიულ ორგანიზაციებში უფრო ხშირად განიხილავენ წერილებსა და საჩივრებზე მუშაობის საკითხს. ეს საკითხი განიხილეს აჯაზეთის, თურქმენეთის, ყირგიზეთის კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის ალტაის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა, პარტიის დნეპროპეტროვსკის, მურმანსკის, ირკუტსკისა და სხვა საოლქო კომიტეტების ბიუროების სხდომებმა. საჭიროა სისტემატიურად შევაჯამოთ წერილებზე მუშაობა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებში, მოვისმინოთ მათ ხელმძღვანელთა ანგარიშები.

საჭიროა აგრეთვე უფრო ფართოდ ჩავაბათ მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვისადმი კონტროლში ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული აქტივი, სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაკები. სწორად იქცევიან იქ, სადაც ადგილებზე გზავნიან მუშაკებს მშრომელთა წერილებზე მუშაობის შესაჯამებლად და ობერატიულ ღონისძიებათა მისაღებად. დიდი სარგებლობა მოაქვს მიღებული ფოსტის სისტემატურ ანალიზს, რაც ხელს უწყობს საჩივრების გამომწვევი მიზეზებისა და პირობების გამოვლინებას. ამას წინათ, მაგალითად, „პრავდის“ რედაქციამ უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა გაზეთში მიღებული წერილების კრებსი მთელი რიგი კლუბების მუშაობის ნაკლოვანებათა შესახებ. უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ცნობით, ამ მწვავე სიგნალების შემოწმებამ და ანალიზმა ხელი შეუწყო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით სოფლად.

ბევრი წერილი მოსდით გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს. აქაც არის ხარვეზები და სიძნელენი ფოსტაზე მუშაობაში. წერილების, განსაკუთრებით ცენტრალურ გაზეთებში მიღებული წერილების მნიშვნელოვანი ნაწილი შესამოწმებლად და ღონისძიებათა მისაღებად ეგზავნება ადგილობრივ ორგანიზაციებს. სამწუხაროდ, ყველგან როდი ეკიდებიან საკმაო ყურადღებითა და ობიექტურად მკითხველთა საჩივრებისა და წინადადებების განხილვას. რედაქციები რეგულარულად, ყოველ ნომერში, უნდა ბეჭდავდნენ არა მარტო წერილებსა და მასალებს მათ შესახებ, არამედ გადაწყვეტილებებსაც ისეთი გამოუქვეყნებელი საჩივრებისა და სიგნალების გამო, რომლებსაც დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. საჭიროა აგრეთვე უფრო ღრმად აუქვეხდნენ ადგილობრივი ორგანიზაციების წერილებზე მუშაობის დადებით გამოცდილებას, პრინციპიულად და შეურიგებლად ილაშქრებდნენ ბიუროკრატიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, პრესაში ღროდადრო მოდის ცილისმწამებლური წერილები. არიან ცალკეული ადამიანები, რომლებიც ცდილობენ მთელი დემოკრატიული წესწყობილება იმისათვის გამოიყენონ, რომ ვინმეს გაუსწორონ პირადი ანგარიშები, სხვას გადაბარალონ დანაშაული, სახელი გაუტეხონ ღირსეულ ადამიანს. ულმობლად უნდა ვამხილოთ ცილისმწამებლები, საჯაროდ გავაკრიტიკოთ, რომ ჭკუა ისწავლონ და ვერავინ ვერ იმოქმედოს საზოგადოების საზიანოდ.

ჩვენი პარტია განუხრელად ახორციელებს მშრომელთა წერილებზე მუშაობაში ლენინური პრინციპების, ლენინური სტილის ზუსტად დაცვის კურსს. ამ მუშაობის გაუმჯობესება იმას ნიშნავს, რომ კიდევ უფრო აქტიურად ჩავაბათ საზოგადოებრივ და სახელმწიფო საქმიანობაში ხალხის ფართო მასები, განვამტკიცოთ დიდი ოქტომბრით შობილი სოციალისტური დემოკრატია.

ღღესასწაულობენ მანქანათმშენებლები

22 სექტემბერს საქართველოს ფილარმონიის საზაფხულო თეატრის შენობაში გაიმართა მანქანათმშენებლის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. დარბაზში შეიკრიბნენ საბჭოთა, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, წარმოების მოწინავენი.

სხდომა გახსნა მანქანათმშენებლობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ **ი. ჭუმბაურიძემ.**

მოხსენება „მანქანათსაშენებელი მრეწველობის განვითარება საქართველოში“ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ნ. გომელაურმა.**

საზეიმო სხდომას დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **რ. ფრუიძე.**

დასასრულ გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

მეავეჯეთა გამარჯვება

ბორჯომი. (საკ. კორ.). 105,7 პროცენტით გაანაღდა რვა თვის დავალება ახალდაბის საავეჯო ფაბრიკის კოლექტივმა. გამოშვებულია 96 ათასი მანეთის პროდუქცია ნაცვლად 65 ათასი მანეთისა. რვა თვის მანძილზე ფაბრიკის კოლექტივმა სამშობლოს 99 ათასი მანეთი მოგება მისცა. გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის გეგმაც. საგრძნობლად შემცირებულია პროდუქციის თვითღირებულება.

ახალდაბელი მეავეჯეები მთელი ძალით შრომობენ, რომ ვადამდე შეასრულონ სარეკორდო ნაკისრი ვალდებულებები და პირნათლად შეხვდნენ ოქტომბრის 50 წლისთავს.

ქართველ მეტალურგთა გამარჯვება რუსთაველებმა პირობა გაანაღდეს



მოდის ქართული ფოლადი
ფოტო ვლ. გინზბურგისა.

⊙ ქარხანამ „სიმწიფის ატესტატი“ მიიღო ⊙ მოგება — 2 მილიონი მანეთი ⊙ მეტალურგები უარს ამბობენ დოტაციაზე

საამქროებში საერთო სიხარულია. მეტალურგები ხელს უწყობენ ერთმანეთს და ულოცავენ ახალ ბრწყინვალე გამარჯვებას. მათს საუბარში მოისმენთ ასეთ გამოთქმებს:

— „კომუნისტური თამასუქი“ გავანაღდეთ!

— არის „სიმწიფის ატესტატი“!

...მაგონდება რუსთაველ ცნობილ მეტალურგთან გრიგოლ ბერეკაშვილთან შეხვედრა 1959 წელს. იგი მარტენის ღუმელთან იდგა და მორიგ დნობას ახორციელებდა. ხელშემწყობებს დავალებები რომ მისცა, ცოტაოდენი დრო იშოვნა და მითხრა:

— აი ხომ ხედავთ, ახლა აქ რამდენიმე ღუმელია აღმართული. ორი წლის წინათ კი მხოლოდ ორი ღუმელი იყო. დასამალი არ არის, ტონა ფოლადის გამოდნობა მის ღირებულებასთან შედარებით ხუთ-ექვსჯერ მეტი გვიჯდებოდა. ასე იყო ბრძმედებზე და საგლინავი საამქროების აგრეგატებზეც. დავეუფლეთ ტექნიკას, ავითვისეთ მეტალურგის პროფესიები, და საქმეც წინ წავწიეთ.

— როგორ, ახლა ეტაპით თვითღირებულების ნორმებში?

— არა, თვითღირებულებაში ვერ ვეტევით, მაგრამ სრული მეტალურგიული ციკლი ისეა აწყობილი, რომ უახლოეს წლებში მოსალოდნელია უარი ვთქვათ სახელმწიფო დოტაციებზე და ქვეყანას მოგებაც მივცეთ.

და ეს სიტყვები მაშინ მარტო გრიგოლ ბერეკაშვილისაგან როდი მსმენია — ამაეე აზრისა იყვნენ ნოვატორები ამირან ფანცულაია და არჩილ ძამაშვილი, ვაჟა გიგიბერია და ვახტანგ მერაბიშვილი...

მაშინ ქარხანაში ზარალი რამდენიმე მილიონ მანეთს შეადგენდა. რა იმედი უნდა ჰქონოდათ მეტალურგებს, რომ ამ ზარალსაც დაფარავდნენ და მოგებასაც მიიღებდნენ? და მართლაც აღმოჩნდნენ სკეპტიკოსები; ხელის ჩაქნევით ამბობდნენ, ზღაპარია, ალბათ ოცი წელიც არ გვეყოფა ამ მიზნის მისაღწევადო.

მაგრამ შეცდნენ. სულ რაღაც შვიდ წელიწადში ზღვარი დაესვა ზარალიან მუშაობას. ეს ისეც უნდა ყოფილიყო. კომუნისტურ თამასუქში, რომელიც რუსთაველმა მეტალურგებმა ამ რამდენიმე წლის წინათ მიიღეს, ხომ ასე წერია:

„ვამლევთ რა მშობიურ პარტიას კომუნისტურ თამასუქს, მობილიზაციას გავუკეთებთ მთელ არსებულ გამოუყენებელ საშუალებებსა და რეზერვებს, პირნათლად შეკრულებთ ნაკისრ ვალდებულებებს, გაწეული ეკონომიით დავფარავთ ყოველგვარ ხარჯებს და 1967 წელს მივიღებთ რენტაბელური მუშაობის „სიმწიფის ატესტატს“.

— როგორც ხედავთ, — ამბობს ქარხნის დირექტორი ლენინური პრემიის ლაურეატი ს. შარაძენიძე, — შარშანაც კი ზარალი მნიშვნელოვანი ოდენობით გვქონდა. ასეთ პატრიოტული ვალდებულების აღება კი უდავოდ სარისკო საქმე იყო. მაგრამ ჩვენ გვწამდა ჩვენი ძალებისა და შესაძლებლობისა. მათ ასამოქმედებლად დაირაზმა მთელი კოლექტივი.

სექტემბრის პირველ რიცხვებში ქარხნის მთავარმა ეკონომისტმა ი. ცინცაბაძემ განაცხადა, რომ მიმდინარე სამეურნეო წელს უდავოდ კარგი პირი უჩანს. ზუსტი ანალიზის გაკეთება 14-15 სექტემბერს შეიძლება, როცა პროდუქციის რეალიზაცია მოხდება.

ქარხნის კოლექტივი მოუთმენლად ელოდა ეკონომისტის გაანგარიშებას. და ეს დღეც დადგა. 15 სექტემბრისათვის უკვე ცნობილი იყო, რომ ქარხანა რენტაბელური გახდა: პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ხარჯზე 8 თვეში მოგება უდრის 2 მილიონ მანეთს. ბრწყინვალე შედეგია!

ფოლადის ღუმელების ქვედის ჩქარსნული დადუღების პრობლემის გადაწყვეტა მოსვენებას არ აძლევდა მემარტენეებს ვაჟა გიგიბერიას, თარიმან ბარბაქაძეს და ჯუმბერ თაბაგარს, მაგრამ კაცი თუ მოინდომებს, შეუძლებელი აბა რა უნდა იყოს. და გამოუვიდათ კიდეც. შეიმუშავეს ტექნიკური სიახლე და მიაღწიეს ქვედის დადუღების ჩქარსნული მეთოდის დანერგვას. ამ მეთოდმა კი 75-დან 9 საათამდე შეამცირა ღუმელების მოცდენა.

რუსთაველებმა პირველად საბჭოთა კავშირის მეტალურგიაში შემოიღეს ქვანახშირის კაზმის გაპობვა. ამან დიდად გაზარდა ქიმიური პროდუქტების გამოსავლიანობა და ამასთან წლიურმა ეკონომიამ 30.000 მანეთს გადააჭარბა. ქართველმა მეტალურგებმა დაამუშავეს და განახორციელეს პიროლიზის ფასის გადამუშავების ტექნოლოგია, რამაც ყოველწლიურად 100.000 მანეთი ეკონომია შექმნა.

ახლა უკეთ, ვიდრე ოდესმე, მუშაობენ ბრძმედები. საბრძმედე საამქროს უფროსნა ლურმაშნან გობეჯიშვილმა გაგვაცნო აქ განხორციელებული ტექნიკური სიახლენი.

ამას წინათ რუსთაველი მეტალურგები სტუმრად იმყოფებოდნენ ინაკიევკასა და დონეცკის მეტალურგიულ ქარხნებში. აღსანიშნავია, რომ უკრაინის ეს მეტალურგიული ქარხნები ჯერ კიდევ არ არიან რენტაბელური. ამიტომ გასაგებია ის დიდი ინტერესი, რაც გამოიჩინეს უკრაინელმა მეტალურგებმა ქართველ კოლეგებთან შეხვედრისას.

პირველი შეკითხვაც სწორედ ასეთი იყო:

— როგორ დაადწიეთ თავი ზარალს, როგორ გახდთ მომგებიანნი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მოუხდათ ძირითადად ცნობილ მუშებს მეფოლადეს მიხეილ სპანდერაშვილს, მებრძმედეს პეტრე ოძელაშვილს და მგლოვნავს არჩილ გზირიშვილს. თავიანთი საუბრებით ტექნიკურ საკითხებზე ქართული მეტალურგიის მუშებმა უკრაინელ ინჟინერ-ტექნიკოსთა ყურადღება მიიპყრეს.

უფრო მეტიც. ქართველ სპეციალისტებს საგანგებო საუბრების გამართვაც კი მოუხდათ იმ დიდ მიღწევებზე, რაც ქართველ მეტალურგებს აქვთ უნაწიბურო მილებისა და ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის ათვისებაში. უკრაინელ მეტალურგებს ამჯერად გადაწყვეტილი აქვთ თავიანთი წარმომადგენლები გამოგზავნონ ქართველ კოლეგებთან და დეტალურად გაეცნონ ქარხნის რენტაბელურ მუშაობაზე გადასვლის „საიდუმლოებებს“, აგრეთვე ქართველ მეტალურგთა სხვა ტექნიკურ სიახლეებს. იყო დრო, როცა ახლადფეხადგმული ქართული მეტალურგია სხვებისგან იძენდა ცოდნას, ახლა უკვე პირიქით არის...

ახლოვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის იუბილე. რუსთავეს მეტალურგები კვლავ წარმატებით აგრძელებენ სადღესასწაულო ვახტს და საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ შემოქმედებითს შრომაში იძლევიან სულ მეტ თუჯს, ფოლადს, ნაგლინს და ქართული მარკის სხვა მეტალურგიულ პროდუქციას.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მეგობრული შეხვედრა

მიმდინარე წლის 22 სექტემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევის,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ **ა. ნ. კოსიგინის,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. **ნ. ვ. პოდგორნის** შეხვედრა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ამხ. **ვ. გომულკასთან** და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთან, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ამხ. **ი. ცირანკევიჩთან.**

შეხვედრის დროს განიხილეს თანამედროვე საერთაშორისო ვითარებისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის აქტუალური საკითხები, აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ორმხრივი ურთიერთობის საკითხები.

დადასტურდა, რომ ყველა განხილულ საკითხზე მხარეები სავსებით ერთი აზრისა არიან, აგრეთვე განუხრელად ისწრაფვიან კვლავაც განავითარონ ორივე პარტიისა და ქვეყნის ყოველმხრივი ურთიერთობა და მჭიდრო თანამშრომლობა.

შეხვედრა და საუბარი მიმდინარეობდა ძმური მეგობრობისა და გულთადობის ვითარებაში.

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროში

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების საბრძოლო და ოპერატიული მზადების გეგმის შესაბამისად, უკრაინისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკების ტერიტორიაზე დაიწყო მთელი რიგი სამხედრო ოლქების ჯარების წვრთნა.

წვრთნაში მონაწილეობენ ყველა გაკრეობის ჯარები.

წვრთნის მიზანია შეაჯამონ ნაწილებისა და შენაერთების 1967 სასწავლო წლის საბრძოლო წვრთნისა და ოპერატიული მომზადების შედეგები. (საკდესი).

ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა ლე თხან ნგოს

22 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ნ. კოსიგინმა** კრემლში მიიღო ვიეტნამის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილე **ლე თხან ნგი,** რომელიც მეთაურობს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიურ დელეგაციას.

საუბრის დროს მხარეებმა ერთმანეთს აზრი გაუზიარეს ვიეტნამში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ამერიკის აგრესიის გაძლიერებასთან დაკავშირებით. განიხილეს საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და სსრ კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ძმური თანამშრომლობის გაფართოების საკითხები. განიხილეს პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებსაც საბჭოთა კავშირი განახორციელებს იმ მიზნით, რომ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას, გმირ ვიეტნამელ ხალხს კვლავ გაუწიოს რაგორც სამხედრო, ისე ეკონომიური დახმარება, რაც საჭიროა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური აგრესიის მოგერიებისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

საუბარი ურთიერთგაგების, გულთადობისა და მეგობრობის ვითარებაში მიმდინარეობდა. (საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო

საერთაშორისო ცხოვრება

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს გამოსვლა



ნიუ-იორკი, 22 სექტემბერი. (საკდესი). დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXII სესიის პლენარულ სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-22 სესიის პლენარულ სხდომაზე 1967 წლის 22 სექტემბერს

საბჭოთა კავშირის, საბჭოთა ხალხის ერთად-ერთი ნამდვილი წარმომადგენლის — სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პროგრამას, რომლებიც შეესაბამებიან ჟენევის შეთანხმებებსა და სამართლიანი სამყაროს ვიეტნამის საკითხის მოწესრიგებისათვის.

ვიეტნამელი ხალხი იბრძვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის, იბრძვის გმირულად. და დარწმუნებული ვართ, რომ გაიმარჯვებს მისი სამართლიანი საქმე.

გადავიდა რა ახლო აღმოსავლეთში ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციის საკითხზე, ა. ა. გრომიკომ განაცხადა:

საბჭოთა კავშირს, რომელიც გამობს ისრაელის აგრესიას, მიაჩნია, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა შეიძლება ეუნშინარეს ყოველისა იმით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ისრაელის ჯარების გაყვანა იმ ხაზს იქით, რომელიც მათ ეკავათ მიმდინარე წლის 5 ივნისამდე. შემდეგ საჭიროა, რომ არაბელ სახელმწიფოებს — არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას, სირიასა და იორდანიას — აუნაზღაურონ მატერიალური ზარალი, რომელიც მათ მიაყენეს ისრაელის აგრესიამ და მათი ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციამ, ისრაელმა უნდა შესრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებანი იერუსალიმის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში უშიშროების საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას ისრაელის წინააღმდეგ სანქციების შესახებ. საბჭოთა კავშირი მზად იქნება მონაწილეობა მიიღოს ასეთი გადაწყვეტილების განხორციელებაში.

არის სხვა საკითხებიც, რომლებიც ისე თუ ისე ეხებიან ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას, საბჭოთა კავშირი იმის მომხრეა, რომ ამ რაიონის ყველა სახელმწიფოში, რომლებიც უშუალოდ ეკვრიან ჩვენი ქვეყნის სამხრეთ საზღვრებს, უზრუნველყოფილ იქნეს მშვიდობა და უშიშროება. მაგრამ შეუძლებელია ამ გზით წინსვლა, თუ არ გადავდგამთ პირველი ნაბიჯი — არ გავწმინდეთ არაბთა მიწაყალი ისრაელ აგრესორთა ჯარებისაგან.

იმ გეოგრაფიულ სახელწოდებათა შორის, რომლებსაც ახსენებენ მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში შეიარაღებულ შეტაკებებთან დაკავშირებით, ამჟამად არ გვხვდება ევროპის კონტინენტის ქვეყნების დასახელება. ნიშნავს თუ არა ეს, რომ აქაური მდგომარეობა საფუძველს გვაძლევს გულდამშვიდებული ვიყოთ?

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობა არ არის ევროპის სახელმწიფო. მაგრამ არ შეიძლება, რომ მათ არ აწუხებდეთ ევროპის პრობლემები, სადაც დაიწყო ორივე მსოფლიო ომი.

ახლა კვლავ მოითხოვენ ევროპის პოლიტიკური რუკის გადაკეთებას, თითქოს არ ყოფილიყოს მეორე მსოფლიო ომი და ანტიჰიტლერული კოალიციის გამარჯვება ფაშისტურ გერმანიაზე.

როგორც კი მოსკოვსა თუ პარიზში, ვარშავასა თუ ბერლინში, თქვა შემდეგ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა, გააკეთებენ საპასუხისმგებლო განცხადებას, რომ ლღეანდელი ევროპა რეალურია, რომ ომეფეა აქ არსებული საზღვრები, მაშინვე დასავლეთ გერმანიაში რეკანშისტულ შაბაშს ასტეხავენ ხოლმე. როგორც კი რომელიმე სახელმწიფო, მათ შორის არაევროპული სახელმწიფო, გაიზრახავს გონივრულად მოეკიოთ ორ გერმანული სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის არსებობის ფაქტს, ბონი მაშინვე მიმართავს პოლიტიკური შანტაჟისა და ეკონომიური ზეგავლენის ყველა საშუალებას, რათა განამტკიცოს თავისი აბსურდული პრეტენზიები იყოს „მთელი გერმანიის“ წარმომადგენელი. ხალხებს, და განსაკუთრებით იმ ხალხებს, რომლებმაც განიცადეს ჰიტლერული აგრესია, კანონიერად აღაშფოთებთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რევანშისტული წრეების ცდები ხელი იგდონ ატომური იარაღი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რევანშისტული პოლიტიკის საშიშროებას აძლიერებს ის, რომ დასავლეთ გერმანიას მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც სულ უფრო მჭიდროდ და აშკარად უკავშირდებიან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას საერთაშორისო ასპარეზზე.

საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც ევროპის ბევრი სხვა სახელმწიფო დარწმუნებულია, რომ არსებობს შესაძლებლობა შეიქმნას ევროპა, რომელშიც თითოეული სახელმწიფოს, თითოეული ხალხის უშიშროება ამავე დროს ყველის უშიშროება იქნება. კარგად ცნობილია კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც ამ საკითხზე წამოაყენეს საბჭოთა კავშირმა, ევროპის სოციალისტურმა ქვეყნებმა.

საბჭოთა მთავრობამ უკვე მიაქცია ყურადღება ამ ასამბლეის ყურადღება იმ საშიშროებას, რომელსაც ქმნის მსოფლიოს დაყოფა მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა სამხედრო-პოლიტიკურ დაჯგუფებებად. ეს არაერთხელ ერთობლივად განუცხადებიათ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს. ეს გამოცხადებული იყო მიმდინარე წლის აპრილში ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კარლოვი ვარის კონფერენციაზე.

საერთაშორისო დაძაბულობა მნიშვნელოვნად შენელდებოდა, რომ დაშლილიყო სამხედრო ბლოკები. ეს ბლოკები ჩვენი გამოგონება როდია. საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინადადებაა ერთდროულად დაიშალოს ჩრდილო ატლანტიური კავშირი და მის საწინააღმდეგოდ შექმნილი თავდაცვითი ვარშავის ხელშეკრულება, ან როგორც პირველი ნაბიჯი ამ გზაზე, მივაღწიოთ შეთანხმებას ორივე კავშირის სამხედრო ორგანიზაციების ლიკვიდაციის შესახებ.

მთელი საერთაშორისო განვითარება ცხადყოფს, რომ ამჟამად მშვიდობის საქმისათვის ყველაზე უფრო საშიშია სუვერენულ სახელმწიფოებზე შეიარაღებული თავდასხმის აქტები. მათი ტერორების დაბომბვა და დაპყრობა, შეიარაღებული ძალით ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობის ცდები, რევანშისადმი მოწოდებანი, რაც სულ უფრო გახშირდა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პირდაპირი მოვალეობაა შებოჭოს“ აგრესიის პოლიტიკა და ყველა მისი გამოვლინება დედამიწის ყველა რაიონში.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა დელეგატმა აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს აგრესიის ცნების განსაზღვრას. საბჭოთა კავშირი, თქვა მან, რომლის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდევს დიდი და პატარა ხალხების უფლებათა პატივისცემა, რომელიც თანმიმდევრულად და მტკიცედ უჭერს მხარს, რომ განხორციელდეს ეფექტიანი ღონისძიებანი მშვიდობის განმტკიცებისათვის, მოითხოვს, რომ აღარ გადაიდოს და დამთავრდეს მუშაობა აგრესიის ცნების განსაზღვრის საკითხზე. საბჭოთა მთავრობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXII სესიის განსახილველად შემოაქვს დიდმნიშვნელოვანი და სასწრაფო საკითხი, რომ „უნდა დაჩქარდეს აგრესიის ცნების განსაზღვრის შემუშავება თანამედროვე საერთაშორისო ვითარების შესაბამისად“. მოუწოდებთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს მთელი პასუხისმგებლობის შეგნებით განიხილონ ეს წინადადება.

ა. ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ სსრ კავშირი განუხრელად იღვწის საყოველთაო განიარაღებისათვის და განაცხადა:

ჩვენ მოვითხოვთ აგრეთვე, რომ რაც შეიძლება სწრაფად განხორციელდეს გამალებული შეიარაღების შეზღუდვის ისეთი ღონისძიებანი. როგორიცაა ატომური იარაღის ყველა გამოცდის აკრძალვა, სხვის ტერიტორიებზე უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია, უპირობო ზონების შექმნა მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში.

ჩვენი აზრით, გამალებული ატომური შეიარაღების შებოჭვის ღონისძიებათა შორის ახლა მომწიფდა ისეთი ღონისძიება, როგორიცაა საერთაშორისო ხელშეკრულება ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ. კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ამჟამად ატომური იარაღის გაუვრცელებლობის პრობლემას გადაჭრის საკითხში პროგრესი შეიმჩნევა.

ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება არა თუ არ შეუქმნის რაიმე წინააღმდეგობას უატომო ქვეყნებს რომ მშვიდობიანი მიზნით გამოიყენონ ატომური ენერგია, არამედ შეუქმნის ახალ შესაძლებლობებს ამ დარგში. ეჭვიც არ არის, რომ არა მარტო თანამედროვენი, არამედ ჩვენი შთამომავალნიც ჯეროვნად დაიფასებენ ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების დადებას, თუ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს ბოლომდე მიიყვანთ, იტყვიან, რომ ეს დიდი რეალიზმის, ხალხთა საარსებო ინტერესებისათვის ზორსგამიზნული ზრუნვის აქტია.

შემდეგ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივი შეთანხმება ატომური იარაღის გამოყენების სრული და საბოლოო აკრძალვის შესახებ. მსოფლიოში არსებობს ამ იარაღის უდიდესი მარაგი, რომელიც სულ უფრო იზრდება. თქვა მან, დედამიწის სხვადასხვა რაიონში განუწყვეტლივ იქმნება გართულებანი და სამხედრო კონფლიქტები, რაც კიდევ უფრო ესვამს ხაზს, რომ საჭიროა ამ აღიარების დაუყოვნებლივ გადაჭრა.

საბჭოთა მთავრობას, რომელიც ხელმძღვანელობს სურვილით განუმტკიცოს ხალხებს უშიშროების, ხვალინდელი დღის რწმენის გრძნობა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXII სესიის განსახილველად შეაქვს დიდმნიშვნელოვანი და სასწრაფო საკითხი — „დაიდოს კონვენცია ატომური იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ“. ამავე დროს შემოგვაქვს ასეთი კონვენციის პროექტი.

საბჭოთა მთავრობის წინადადებაა, რომ თითოეულმა სახელმწიფომ, რომელიც ხელს მოაწერს კონვენციას, იკისროს ვალდებულება არ გამოიყენოს ატომური იარაღი, არავის არ დემუქროს მისი გამოყენებით და არ წაახალისოს სხვა სახელმწიფოები გამოიყენონ ეს იარაღი.

ჩვენი წინადადებაა აგრეთვე: კონვენციის მონაწილე თითოეულმა სახელმწიფომ იკისროს ვალდებულება, რომ ყოველ ღონეს იხმარს, რათა რაც შეიძლება მალე მივაღწიოთ შეთანხმებას ატომური იარაღის წარმოების შეწყვეტისა და ატომური იარაღის მთელი მარაგის მოსპობის შესახებ საერთაშორისო ეფექტიან კონტროლსდაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების შესაბამისად. ეს არის კონვენციის იმ პროექტის მთავარი დებულებანი, რომელიც საბჭოთა მთავრობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ყველა სახელმწიფოს განსახილველად შემოაქვს. მათი შინაარსის გამოთქმა უფრო ლაკონიურადაც შეიძლება: საბჭოთა კავშირის წინადადებაა ბოლო მოეღოთ ატომურ იარაღს პოლიტიკურად და ვეძებოთ მისი ფიზიკური განადგურების გზები.

თუ კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგმება და საერთაშორისო კონვენცია აკრძალავს ატომური იარაღის გამოყენებას, მაშინ საგრძნობლად მოახლოვდება მასობრივი განადგურების იარაღისაგან ჩვენი პლანეტის მთლიანად გაწმენდის საკითხის პრაქტიკულად წამოყენების შესაძლებლობა. საბჭოთა დელეგაცია იმედს გამოთქვამს, რომ გენერალურ ასამბლეაზე წარმოდგენილი „ყველა სახელმწიფო სათანადო ყურადღებით მოეკიდება ამ ჩვენი წინადადების განხილვას.

ა. ა. გრომიკომ შემდეგ თქვა, რომ საბჭოთა კავშირი უშიშლო დახმარებას უწევდა და უწევს იმათ, ვინც ებძმება ბრძოლებში ზედიზედ ანგრევს კოლონიურ საპყრობილეებს.

ხელმძღვანელობენ რა მისწრაფებით ხელი შეუწყონ შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის განმტკიცებას, განაგრძო მან, საბჭოთა კავშირმა და მთელმა რიგმა სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა გენერალური ასამბლეის განსახილველად შეიტანეს საკითხი ამერიკისა და უცხოელთა სხვა ჯარების გაყვანის შესახებ, რომლებიც ოკუპაციას უწევენ სამხრეთ კორეას ეროვნული ერების ორგანიზაციის ჯარების ალმით“.

ამერიკისა და უცხოელთ ყველა სხვა ჯარების გაყვანა სამხრეთ კორეიდან მეტად საჭიროა. დათხოვნილ უნდა იქნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგრეთ წოდებული კორეის გაერთიანებისა და აღდგენის კომისია. დროა გაუქმდეს ეს კომისია.

ა. ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ სსრ კავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმტკიცებას, ნაკლოვანებების აღმოფხვრას მის საქმიანობაში და ისაა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გახდეს ნამდვილად უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია და განაცხადა:

საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიღების საკითხის სწრაფად გადაჭრას. საწინააღმდეგო არა გვაქვს რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ერთსა და იმავე დროს მიეღოთ აგრეთვე მეორე გერმანული სახელმწიფო — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. საჭიროა, ბოლოსდაბოლოს გადაეჭრათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებათა აღდგენის საკითხიც.

საბჭოთა კავშირის საგარეოპოლიტიკური საქმიანობის მთავარი მიმართულებანი და მიზნები, თქვა დასასრულ ა. ა. გრომიკომ, განსაზღვრა სკკ XXIII ყრილობამ, და ჩვენი ქვეყანა განუხრელად ახორციელებს მათ.

ხელმძღვანელობს რა ამ მიზნებით, საბჭოთა კავშირი მზად არის განაგრძოროს და გააუმჯობესოს ურთიერთობა ყველა სახელმწიფოსთან. რომლებიც, თავის მხრივ, ამასვე ესწრაფვიან. ითანამშრომლოს მათთან ერთად აქტუალური საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტის ძიებისათვის.

საბჭოთა კავშირის მთავრობა მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს ერთად იმოქმედონ რათა გენერალური ასამბლეის მომდინარე სესიაზე მიიღონ გადაწყვეტილებებს, რომლებიც შეესაბამება მშვიდობის ინტერესებს.

ირანელი სტუმარი

თეირანი, 22 სექტემბერი. (საკდესი). დღეს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოების კავშირის მოწვევით ირანელ ტურისტთა ჯგუფი ჩამოვიდა მოსკოვს გაფრინდა ირანის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, დედოფალ ფარაჰის დედა ქალბატონი ფარიდე დიბა.

„დიდად მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა ეფეკი მეზობელ ქვეყანას — დიად საბჭოთა კავშირს და ვიმედოვნებ, რომ ჩემი მოგზაურობა ძალიან სასარგებლო იქნება. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში ვეპირებ გავეცნო საზოგადოებრივ და საბავშვო ორგანიზაციათა სისტემას, ესე იგი იმ დარგს, რომელშიც მიხდება თანამშრომლობა ირანში“, — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს ქალბატონმა დიბამ მეპრაბადის აეროდრომზე.

ჩილელ მშრომელთა პროტესტი

სანტიაგო, 22 სექტემბერი. (საკდესი). ჩილეს მშრომელები პროტესტს აცხადებენ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების XII საკონსულტაციო თათბირის წინააღმდეგ, რომელიც 22 სექტემბერს იხსნება ვაშინგტონში.

ჩილეში აგროვებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეისადმი იმ წერილს, ხელმოწერას, რომელიც გმობს ახალ ანტიკუბურ შეთქმულებას.

წერილს ხელი მოაწერა ჩილეს პროგრესული და დემოკრატიული ძალების მრავალმა წარმომადგენელმა.

ისრაელი აგრესორები პასუხს აგებენ

ნიუ-იორკი, 22 სექტემბერი. (საკდესი). ისრაელი აგრესორები პასუხს აგებენ ახალი შეიარაღებული ინციდენტებისათვის, რომელიც გუშინ მოხდა ელ-ვანტარის რაიონში (სუეცის არხის ზონა), ნათქვამია სუეცის არხის ზონაში მყოფი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფის მოხსენებაში უშიშროების საბჭოსადმი. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ისრაელის ჯარებმა სროლა ატეხეს 21 სექტემბერს დილის 5 საათსა და 57 წუთზე გრინვიჩის დროით. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ჯარებმა სროლითვე უპასუხეს. სროლაში მონაწილეობდნენ ნაღმსატყორცნები და მძიმე არტილერია.

მხარეები შეთანხმდნენ სროლა შეეწყვიტათ დილის 6 საათსა და 54 წუთზე, მაგრამ ისრაელის ჯარებმა ცეცხლი მხოლოდ შვიდ საათზე შეწყვიტეს. მათ მოიმიზეზეს ტელეფონის ხაზების დაზიანება.

დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა

ლონდონი, 22 სექტემბერი. (საკდესი). 22 სექტემბერს სინგაპური და იუგოსლავია შეთანხმდნენ დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისა და ელჩების გაცვლის შესახებ.

ეს ნათქვამია ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც სინგაპურის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა.

ოქტომბრის იდეების ჩაუქრობელი შუქი

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გაკეთდა

ბაკოში მუშაობას განაგრძობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“. კონფერენციის მონაწილენი — 26 ქვეყნის წარმომადგენლები — კონკრეტული მაგალითებით გვიჩვენებენ, თუ რა დიდი სტიმული იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებისათვის რუსეთის სოციალისტური რევოლუცია. საბჭოთა კავშირის გამოცდილება, ამბობენ სტუმრები, იმის თვალსაჩინო მაგალითია, თუ როგორ შეიძლება აღმოიფხვრას უმოკლეს ისტორიულ ვადებში ჩამორჩენილობა, სიღატაკე და უწიგნურობა, როგორ შეიძლება შესანიშნავ წარმატებათა მოპოვება ხალხების, როგორც დიდი, ისე მცირე ხალხების, ცხოვრების ყველა დარგში.

ბუენოს-აირესის უნივერსიტეტის პროფესორმა, ცნობილმა არგენტინელმა ეკონომისტმა ფუკმ ხაიმე, კერძოდ, კონფერენციაზე განაცხადა:

— საბჭოთა აზერბაიჯანის საამური ბედის მაგალითით საკუთარი თვალით ვნახეთ, თუ რა დიდი წარმატებანი შეუძლია მოიპოვოს ნახევარ საუკუნეზე ნაკლებ დროში წარსულში ჩამორჩენილმა, დაბეჩავებულმა ხალხმა, თუ იგი სოციალიზმის გზას ადგას. აზერბაიჯანისა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მიერ განვლილი გზა ალგაფრთოვანებს ჩვენი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად. ოქტომბრის ჩაუქრობელი იდეები მიგვიძღვის ამ ძნელ ბრძოლაში.

ბაკოელი ხალხი, ბაკოელები ერთ-ერთ ადგილს ეუბნებიან ჩვენ ქვეყნის სახალხო რესპუბლიკის აზია-აფრიკის ქვეყნებთან სოლიდარობის კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლუციან ვოლნეკამ, რომელიც დიდხანს იანჯოდა ცარიზმის უღელქვეშ, საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა, რომ მხოლოდ სოციალისტურ რევოლუციას შეუძლია მოუტანოს ნამდვილი ეროვნული დამოუკიდებლობა. ოქტომბრის გამარჯვება, ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს ყოველი შემდგომი წარმატება ლაგვარს სცემდა პოლონეთის რეაქციულ წყობილებას, და საბოლოო ანგარიშით შექმნა ჩვენს ქვეყანაში სახალხო ხელისუფლების გამარჯვების პირობები. ჩვენს დროში პროგრესი — ეს მხოლოდ სოციალიზმისაკენ წინსვლაა. ამის დადასტურებაა პოლონეთის, სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის წარმატებანი ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში.

კონფერენციაზე 21 სექტემბერს გამოვიდნენ ავგრეთვე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესის პარტიის წარმომადგენელი ჯო ზულუ, მალის რესპუბლიკის რევოლუციის დაცვის ეროვნული კომიტეტის წევრი ნამა კეიტა, თურქმენეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელი ს. დ. კაკაბაევი და სხვები.

კონფერენცია მუშაობას განაგრძობს.

ინგლისისა და ისრაელის კომუნისტთა შეხვედრა

ლონდონი, 22 სექტემბერი. (საკდესი). დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება ისრაელის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრებთან ვ. ერლიქთან და ს. ჰამისთან შეხვედრის შედეგების შესახებ.

ორივე მხარეს, ნათქვამია განცხადებაში, საკმაოდ გაიზიარეს აზრი, რომ ისრაელისა და არაბული სახელმწიფოების კონფლიქტი მჭიდროდაა დაკავშირებული იმ მიზნებთან, რომლებსაც იმპერიალისტები ისახავს ახლო აღმოსავლეთში. იმპერიალისტური წრეები მხარს უჭერდნენ და აქეზებდნენ ისრაელის აგრესიას არაბი მეზობლების წინააღმდეგ.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ორივე მხარის აზრით, ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის წამოჭრილი პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრის გზაზე პირველი ნაბიჯი უნდა იყოს ისრაელის ჯარების გაყვანა დაპყრობილი ტერიტორიებიდან. ეს შეიძლება, ამბობენ, მშვიდობიანად გადაიჭრას პალესტინის პრობლემა, მხარეებმა ცეცხლი ორივე ხალხის, მათ შორის არაბი ლტოლვილების კანონიერი უფლებანი, ცნონ ახლო აღმოსავლეთის უკლებლივ ყველა სახელმწიფოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობის უფლებანი.

დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტია მხარს უჭერს ისრაელის კომუნისტური პარტიის ბრძოლას ისრაელის არაბი მოსახლეობის უფლებათა სრულ ერთიანობისა და ძალადობისგან, ეროვნული ჩაგვრისგან, ეროვნული ანტაგონიზმისგან, ეროვნული ანტაგონიზმის ინსპირაციისგან, ეროვნული ანტაგონიზმის ინსპირაციის ... ...

ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲘᲜᲐ-ᲬᲧᲐᲚᲖᲔ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲔᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

თელავი, 22 სექტემბერი. (საქ-დესი). გულითადად შეხვდა ალაზნის ველი დუნაის ცისფერ ნაპირებიდან ჩამოსულ სტუმრებს. ოქროსფერ ზვრებში ისმოდა უნგრელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და ძმობის სიმღერები.

საქართველოში უნგრეთის კულტურის დეკადის მონაწილეებს შეხვდნენ თელავის მშრომელები, კოლმეურნეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. ისინი მხურვალედ მიესალმნენ უნგრელ ძმებს.

პარტიის თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ვარდოშვილმა დარბაზობაზე, რომელიც უნგრეთის დელეგაციას გაუმართეს, სტუმრებს უამბო თელაველთა ცხოვრებასა და შრომაზე, იმ წარმატებებზე, რომლებიც ამ რაიონის მშრომელებმა მოიპოვეს. ახლა, თქვა მან, ჩვენს კოლმეურნეებს რთველი აქვთ. ჩვენი რაიონის მშრომელებმა იკისრეს ვალდებულება საიუბილეო წელს მიიღონ უხვი მოსავალი. პირველი შედეგები კარგია და ვფიქრობთ, რომ მშრომელები შეასრულებენ პირობას.

უნგრელი სტუმრები ინტერესით მოეკიდნენ ეკონომიკისა და საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებს, სოფლის მშრომელთა კულტურულ ცხოვრებას.

საპასუხო სიტყვაში უნგრეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ფერენც ხავაშმა მადლობა გადაიხადა დელეგაციის გულთბილი და გულითადი შეხვედრისათვის. თქვენი რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში ვიყავით, თქვა მან, რაც აქ ვნახეთ არ შეიძლება არ იწვევდეს ნამდვილი მეგობრების აღტაცებას. აღტაცებული ვართ თქვენი წარმატებებით.

შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ქალაქის ღირშესანიშნავი ადგილები, იყვნენ წინანდალში ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში.



ᲓᲐᲕᲮᲐᲠᲯᲔ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲬᲝᲚᲔᲑᲘ, ᲕᲬᲕᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲖᲕᲘᲜᲔᲑᲘ...

ᲚᲔᲥᲡᲝ, ᲛᲘᲓᲔᲥ ᲓᲐ ᲕᲝᲚᲔᲥᲘ, ᲡᲐᲛᲨᲕᲝᲒᲚᲝᲡ ᲨᲕᲔᲙᲘᲜᲔᲑᲘ!..

ᲯᲚᲔᲠᲡ ᲣᲜᲒᲠᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ

ყოველთვის სასიამოვნოა ისეთი კონცერტის შესახებ წერა, რომელმაც თავისი მაღალი მხატვრული განცდებით აკაფლვა, მოგანიჟა ჭეშმარიტად ესთეტიკური კმაყოფილება.

ერთ-ერთი ასეთი კონცერტი, რომელიც მიძღვნილი იყო უნგრული სიმფონიური მუსიკისადმი, გაიმართა 21 სექტემბერს, კონსერვატორიის დიდ დარბაზში.

კონცერტმა მრავალი მსმენელი მოიზიდა. ხალხით გავსებულ დარბაზში ამაღლებული, საზეიმო განწყობილება სუფევდა.

ამჯერად კონცერტის პროგრამაში შედიოდა თანამედროვეობის შესანიშნავი კომპოზიტორების, ახალი უნგრული მუსიკის ფუძემდებლების ბელა ბარტოკისა და ზოლტან კოდაის, აგრეთვე შედარებით ძველი თაობის კომპოზიტორის ვაინერის ნაწარმოებები.

მცირე დროის მონაკვეთში რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სიმფონიურმა ორკესტრმა მთავარი დირიჟორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ლილე კილაძის ხელმძღვანელობით შეძლო საკმაოდ დაეხვეწა და მაღალ მხატვრულ დონეზე მოემზადებინა ნაწარმოებები.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ლ. კილაძემ, რომელმაც ამას წინათ ქ. გორკში გამართულ ფესტივალზე ბრწყინვალე შეფასება მიიღო და აღიარებულ იქნა ახალგაზრდა შემსრულებელთა შორის ერთ-ერთ საუკეთესო საბჭოთა დირიჟორად, აქაც გამოავლინა თავისი უზადო ნიჭი, შემოქმედებითი ინტერესების მრავალმხრივობა, დახვეწილი გემოვნება. მის მიერ კონცერტის დასაწყისში შესრულებულ ლეო ვაინერის უმრეტეხნიო, საკმაოდ მარტივ, ჟანრული ხასიათის დივერტისმენტში ლ. კილაძემ გვიჩვენა მუსიკოსის შესანიშნავი თვისებები, ზომიერების გრძნობა და მხატვრული ალღო, მაშინ როცა ადვილად შეიძლებოდა ამ ნაწარმოებში გემოვნების მხრივ იოლი, ტრაფარეტული გზით წასვლა. საინტერესოა ისიც, რომ დიგერტისმენტში, რომელიც დაწერილია სიმფონიან ორკესტრისათვის, გამოვლინდა ამ ჯაზფის კარი დახვეწილი ხმოვანება, რაც ამ ორკესტრის უდაო მხატვრული ზრდის მაჩვენებელი.

მსმენელთა ყურადღება მიიპყრო ბელა ბარტოკის ერთ-ერთმა შესანიშნავმა ნაწარმოებმა — მე-3 საფორტეპიანო კონცერტმა. მის შესრულებაში თავი გამოიჩინა ნიჭიერმა პიანისტმა ნოდარ გაბუნიამ, რომლის ნაყოფიერი შემოქმედება, როგორც კომპოზიტორისა და პიანისტისა სულ უფრო და უფრო ცნობილი ხდება და საყოველთაო აღიარებას პოულობს. გაბუნიას — პიანისტის ერთ-ერთ ძლიერ მხარეს წარმოადგენს ბარტოკის საფორტეპიანო შემოქმედება და, შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ იგი მისი კარგი შემსრულებელია. ბარტოკის შემოქმედებაში, როგორც მეოცე საუკუნის დიდი მოვლენა, წარმოადგენს ჰარმონიული სილამაზისა და მელოდიური სიმდიდრის დაუშრეტელ ზღვას, რაც მთლიანად გამომდინარეობს უნგრული მუსიკის ეროვნული ხასიათიდან.

ბარტოკის შემოქმედებაში ერთ-ერთი საყურადღებო ნაწარმოებია მე-3 საფორტეპიანო კონცერტი, რომელიც დიდ გასაქანს უქმნის შემსრულებელს. ჩვენი აზრით, ნ. გაბუნია კარგად ჩასწვდა ამ კონცერტის ბუნებას, გამოავლინა მისი ემოციების სიმდიდრე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფილოსოფიურ სიმაღლემდე აყვანილი მე-2 ნაწილი. რომელიც პიანისტმა მკაცრი ამაღლებული გრძნობებით წარმოგვიდგინა. მას ხელს უწყობდა ლ. კილაძის ოსტატური აკომპანემენტი, თუ პირველი ნაწილი შესრულების მხრივ ემოციურად ოდნავ მშრალი გვეჩვენა. სამაგიეროდ აქ პიანისტმა აზრის მთელი სიღრმე და გაქანება გვიჩვენა.

კონცერტის შესრულებამ მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. დარბაზის მოთხოვნით ნ. გაბუნიამ ბრწყინვალედ შეასრულა ბისზე ბარტოკის „ალეგრო-ბარბარო". მეორე განყოფილებაში შესრულებული იყო ბ. ბარტოკის ადრინდელი ნაწარმოები „იდეალური პორტრეტი" და ზ. კოდაის კონცერტი ორკესტრისათვის. თუ „იდეალური პორტრეტი" წარმოადგენს განზოგადებული ხასიათის მუსიკალურ ჩანახატს, რომელშიც, მიუხედავად ბარტოკისეული ენისა, ჯერ კიდევ იგრძნობა ლისტის სიმფონიზმის ტრადიციები, კოდაის „კონცერტი ორკესტრისათვის" ვირტუოზული ხასიათის სისხლსავსე საორკესტრო პიესაა, აღმოცენებული უნგრული ეროვნული თემების საფუძველზე.

ამ ორივე ნაწარმოების შესრულებას დიდი წარმატება ხვდა. აქაც დირიჟორმა ლ. კილაძემ დამაჯერებლად გახსნა თვითეული მათგანის შინაარსი, ოსტატურად წარმოგვიდგინა მათთვის დამახასიათებელი მხარეები.

დასასრულ მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ სიმფონიურ ორკესტრს, რომლის მხატვრულ პოლიტიკას რადიოს მუსიკალური რედაქცია და პირადად ლ. კილაძე — მისი მთავარი დირიჟორი — წარმართავს, ახასიათებს სისხლის გრძნობა, რომ იგი ენთუზიაზმით ასრულებს ყოველივე იმ მნიშვნელოვანს, რაც შექმნილია არა მარტო ჩვენში, არამედ მსოფლიო მუსიკალურ ლიტერატურაში. ეს მისასალმებელია.

რ. ᲒᲐᲒᲘᲩᲕᲐᲫᲔ,
პროფესორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი ლილე კილაძის დირიჟორობით ასრულებს უნგრელ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲘᲪᲘᲐᲜ ᲨᲠᲝᲛᲐᲪ, ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐᲪ

ᲛᲐᲡᲘᲚ ᲛᲐᲒᲐᲗ-ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

ახალი შრომითი გრაფიკით მუშაობს ახლა ქუთაისი, მისი ათობით საწარმო.

ხუთ სამუშაო და ორდასვენებიან კვირაზე გადასვლამ, ამასთან დაკავშირებულმა მოფიქრებულმა ღონისძიებებმა, რაც შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფისათვის განხორციელდა, თავისი ეფექტი გამოიღო. ახლებურად მუშაობის პირობებში კიდევ უფრო გაუმჯობესდა შრომითი რიტმი, გაძლიერდა პროდუქციის მატების ტემპი.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ ქუთაისის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც მამაცურად ეწევიან დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტს, საიუბილეო წლის განვლილ რვა თვეში გეგმის გადაჭარბებით გამოუშვეს 4 მილიონ 595 ათასი მანეთის პროდუქცია.

სიახლის ნიმუშ დაბერა არა მარტო შრომის, არამედ დასვენების ორგანიზაციაშიც.

— ორი დასვენების დღე იმის საშუალებას იძლევა, რომ კარგადაც იშრომო, კარგადაც ისწავლო და დაისვენო.

ასე ფიქრობს ახლა ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივი, რომელიც მთელ ქალაქში პირველი, ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბრიდან, გადავიდა ხუთდღიან კვირაზე. საიუბილეო წლის ამ რვა თვეში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ელექტრომექანიკოსებმა 15.2 პროცენტით აამაღლეს შრომის ნაყოფიერება, სამშობლოს მისცეს ასიათასობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

ქარხნის მუშებსა და მოსამსახურეებს ახლა უფრო მეტი დრო რჩებათ საზოგადოებრივი მუშაობისათვის, განათლებისათვის, მხატვრული თვითმოქმედებისათვის, სპორტისათვის, დასვენებისათვის.

გონივრულად იყენებენ კი ამ დროს?

ამ კითხვაზე ფაქტები და ციფრები გვიპასუხებენ:

ორასამდე ახალგაზრდა მუშა უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების დაუსწრებელ და საღამოს ფაკულტეტებზე სწავლობს. მუშა ახალგაზრდობის საერთო საცხოვრებელში ცალკე სააგიტაციო უბანი შექმნეს. ახალგაზრდობა ახლა უფრო მეტი რაოდენობით ჩაებეს მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებში. სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში, საესტრადო და სასულე ორკესტრებში, აგიტმხატვრულ ბრიგადებში 170 კაცი მონაწილეობს. სპორტულ სექციებში 500-ზე მეტი კაცია ჩაბმული.

მარტო მიმდინარე წელს, დასვენების დღეებში ელექტროტექნიკოსებმა ოცდაათჯერ მოაწყეს ტურისტული ლაშქრობა და ექსკურსიები, თერმეტჯერ კოლექტიური ნადირობა, ექვსჯერ თევზაობა...

და ახლაც, გასულ შაბათ-კვირას, ხამჭედლო ხამჭროს თერმისტის შ. ტყაბლაძის, ამწყობ-მექანიკური საამქროს ხარატის ჯ. ნიჟარაძის, სამსხმელო საამქროს მეკობე ქალების ნ. ქარჩხადისა და შ. ხაბურძანიას ინიციატივით, იმათი თაოსნობით, ვინც ვადამდე შეასრულა საიუბილეო წლის დავალება, ორდღიანი ტურისტული ლაშქრობა მოაწყვეს.

ელექტრომექანიკოსთა ერთი ჯგუფი ურეკს ეწვია და შაბათ ღამეს ზღვის ნაპირას აიგიზგიზა ტურისტული კოცონი, აქვე მოაწყო შეჯიბრება ტურისტულ მრავალჭიდში, ცურვაში, თევზაობაში... მეორე ჯგუფმა ბათუმისაკენ გასწია, გზად დათვალიერა ფ. მახარაძის სახლ-მუზეუმი ნოფელ შემოქმედში, ბოლოს კი ბათუმის ისტორიულ-რევოლუციური ადგილები.

გულის წადილი აუსრულდათ № 8 სამკერვალო ფაბრიკის ახალგაზრდა მკერავებს ნ. კაკუშაძეს, ი. ჩიხლაძეს, ლ. შადინოვას, ნახეს რის ნახვაც სწყუროდათ. მათთან ერთად 27 მკერავმა იმოგზაურა ტურისტული მარშრუტით: ქუთაისი-ლაჯანურმესი-ამბროლაური-ონი-შოვი-კვაისა-ცხინვალი-გორი-ქუთაისი.

აქაც კარვებში ღამის თევა ერწყოს ტბასთან, აქაც შეჯიბრება მრავალჭიდში, კარვების გაშლაში, კოცონის დანთებაში. მერე კი სიმღერები... და ისევ, ცეკვები და სიმღერები...

ბევრი საზრუნავი გაუჩნდათ ამ წინა ორი დასვენების დღეს ქუთაისის ტურისტულ-საექსკურსიო ბაზას და ტურისტულ კლუბს „ოქროს ჩარდახს".

— ჩვენს კოლექტივს ერევანში სურს ექსკურსიის მოწყობა. გზად ყველაფრის დათვალიერება რომ მოვასწროთ, პარასკევს, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ უნდა გაგვამგზავროთ, — წერდნენ თავიანთ განცხადებაში ქალაქის შემნახველი სალაროების მუშა-მოსამსახურეები ტურისტული ბაზის დირექციას. მათი სურვილი დაკმაყოფილებულ იქნა. მომდევ სომხეთიდან მდიდარი შთაბეჭდილებით დაბრუნდნენ.

შაბათს, 16 სექტემბერს, დილის 6 საათზე, შორეული ექსკურსიისათვის შეიკრიბნენ პუროკომბინატის მუშები და მოსამსახურეები.

— წინათ სხვა მარშრუტით რომ ვიმგზავრეთ, დიდად კმაყოფილი დავრჩით ექსკურსიამძღოლ გურამ გელოვანისა. გთხოვთ ამჯერადაც გურამმა გაგვიწიოს მეგზურობაო, — ითხოვდნენ ისინი და გურამიც გაუძღვა ექსკურსიას, რომლის მონაწილეებმა ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმიც ინახულეს, სოხუმის ღირსშესანიშნავი ადგილებიც, რიწის თვალწარმტაცი ტბაც და გაგრაც. იმავე დღეს ამავე მარშრუტით იმოგზაურეს აგრეთვე ავტომშენებლებმა.

ექსკურსანტთა დიდი ჯგუფები იყვნენ რევოლუციურ მებრძოლთა ნაკვალევზე წულუკიძეში, გელეკოკორში, ცხაკაიაში, ფოთში. მე-5 სტამბის კოლექტივმა თავისი მოგზაურობა ოქტომბრის 50 წლისთავს მიუძღვნა, პოლიგრაფიტები დიდი ინტერესით გაეცნენ ბათუმის ისტორიულ-რევოლუციურ ადგილებს.

ლუდის ქარხნისა და ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის ფაბრიკის კოლექტივებმა გეზი ვარძიისაკენ აიღეს, მაუდის ფაბრიკის ფეიერტმა ჯერ მცხეთა-თბილისი-რუსთავი მოინახულეს და მერე კახეთისაკენ გასწიეს.

და ასე, თითქმის არ დარჩენილა საბჭოთა საქართველოს არც ერთი კუთხე, სადაც გასულ შაბათ-კვირას ქუთაისელებს არ შეხვდებოდით.

სამი ათასზე მტკმა მშრომელმა ჩვენი დიდებული ბუნების წიაღში, ზღვასთან და მთასთან, ტბასთან და მდინარესთან გაატარა ორი დასვენების დღე, ნახა ბუნებით და კაცის ხელით შექმნილი განძი, მამათა საბრძოლო დიდების ადგილები.

თავის მხრივ ქუთაისი, მისი შემოგარენი — წყალტუბო, გელათი, მაიაკოვსკი, სათაფლია მარტო ამ ორ დღეს ჩვენი საშობლოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ორასზე მეტ ტურისტს გაუმასპინძლდა. ექსკურსანტთა დიდი ჯგუფები იყვნენ თბილისიდან, ბათუმიდან, სოხუმიდან, ფოთიდან.

მარტო სათაფლიის ნაკრძალმა, სტალაქტიტებიანმა და სტალაგმიტებიანმა გამოქვაბულმა, მისმა პირველადმომჩენმა პეტრე ჭაბუკიანმა ამ ორ დღეს ათასზე მეტ კაცს გაუწიეს მასპინძლობა და მეგზურობა.

და, ბოლოს, იმათზე, „ვინც სახლში დარჩა".

თუ მშრომელთა ერთმა ჯგუფმა ექსკურსიები მოაწყო ქუთაისის ისტორიულ-რევოლუციური ადგილების დასათვალიერებლად, მეორემ შიდასაქართნო და საფაბრიკო სპორტული ასპარეზობანი გამართა, მესამემ კოლექტიურად ინახულა კინოფილმები, თეატრის სპექტაკლები.

ბევრი ხალხი იყო გასულ შაბათსა და კვირას მუშათა კლუბებში, ბიბლიოთეკებში, კულტურის სახლებში, სპორტულ მოედნებსა და ბაზებზე, კულტურისა და დასვენების პარკებში, ყველა ადგილსა და საკრებულოში, სადაც კი მშრომელ კაცს გონივრული დასვენებისათვის შეეძლო გამოეყენებინა დრო.

შ. ᲯᲐᲕᲐᲮᲐᲫᲔ,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲐᲓ ატარებენ დასვენების დღეებს ქუთაისის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მუშა-მოსამსახურეები. აქ ხშირად ეწყობა ექსკურსიები, ტურისტული ლაშქრობები. სურათზე: სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა ერთი ჯგუფი ტურისტული კრესის სტარტის წინ.

ფოტო ბ. მაღალაშვილისა.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება, რომლითაც განხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებანი საქართველოს სახალხო პოეტის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გიორგი ლეონიძის სახელის უკვდავსაყოფად.

პოეტის სამშობლო სოფელ პატარძეულში (საგარეჯოს რაიონი) გაიხსნება მემორიალური სახლ-მუზეუმი;

გიორგი ლეონიძის საფლავზე დაიდგმება განსვენებულის ბიუსტი;

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო" გამოსცემს გიორგი ლეონიძის თხზულებათა ექვსტომეულის უკანასკნელ ოთხ ტომს, რომლებსაც გამოსაცემად უახლოეს ხანში მოამზადებენ საქართველოს მწერალთა კავშირი და რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი;

განსვენებული მწერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემა დაიწყება 1970 წელს.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს დავევალა:

საქართველოს ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმს მიაკუთვნოს გ. ლეონიძის სახელი;

მემორიალური დაფა გაუკეთდეს სახლს (ჭავჭავაძის პრ. № 50), სადაც ცხოვრების უკანასკნელი წლები გაატარა გ. ლეონიძემ;

ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიაკუთვნოს გ. ლეონიძის სახელი.

ᲒᲐᲛᲝᲣᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔ

ᲕᲘᲗᲗᲐᲡ ᲒᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲕᲘᲗᲕᲘᲫᲔᲠᲬᲔ

დარიალის კლდემ არ იცის ხავსი,
და საქართველოს ვაზმა სიბერწე!
ქართველი ხალხის სინათლის თასი
შოთას გულიდან გამოვიძერწე!
ქართველი ხალხის სიმაღლის ფასი,
მე იალბუზის ვიგრძენ კიბეზე!..
როგორც ორაგულს კასპიის ზღვაში
არაგვის ჩქერი მოეწყურება,
ნაპირს ასკდება დაჭრილი ქვაში
და შეუღებონ მკერდი წყლულებმა,
ისე ვისწრაფი შენდა მარადდღე,
მამულო, დაჭრილ სულისკვეთებით.
მომეცი ბინა გინდ შენს შარაზე,
გინდ შენს წინწკალშიც კი დავეტევი!

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲓᲐᲜ

ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲯᲐ

ᲐᲨᲝᲢ ᲒᲠᲐᲨᲘ

ᲔᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲣᲜᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲕᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ, ᲐᲕᲢᲝᲠᲛᲐ ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲐ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ.

სამწუხარო ამბავმა საბჭოთა პოეზიის დიდი ოსტატის გიორგი ლეონიძის გარდაცვალების შესახებ კვლავ გულსატკენად მოგვაგონა, თუ როგორ თანდათან მცირდება უფროსი თაობის პოეტების შესანიშნავი ჯგუფი. ძნელია დაიჯერო, რომ ვეღარ ვიხილავთ გიორგი ლეონიძეს, საოცარი სულიერი სილამაზის, არწივული გამოხედვის, ცოცხალი, ულეველი ენერგიის, მუდმივი შემოქმედებითი ფიქრების ადამიანს, მუდამ ხალხის, პარტიის, სამშობლოს საკეთილდღეოდ სიტყვის ხელოვნების ვარსკვლავეთისაკენ რომ ისწრაფვოდა.

ლეონიძეს აქვს ლექსი „სიმღერა პირველი თოვლისა", რომელიც საუცხოოდ თარგმნილია პასტერნაკის მიერ. ეს მსოფლიო ლირიკის ერთ-ერთი განუმეორებელი ფურცელია. ლეონიძე როგორც პოეტი და როგორც ადამიანი ისე სპეტაკი იყო, როგორც პირველი თოვლი მყინვარწვერზე.

ლეონიძის ნათელ ტალანტში ბედნიერად შეხამებული იყო XX საუკუნის პოეტის ეპიკური და ლირიკული სული. მისი ლირიკის პანთეიზმი გამოდის მშობლიური ლიტერატურიდან, რომელსაც ფესვები გადგმული აქვს რუსთაველის უკვდავი პოემის კეთილშობილურ ნიადაგში. ლეონიძის შემოქმედება სოციალისტური საქართველოს პოეტური ისტორიაა. მისი მთავარი გმირია ხალხი — მშენებელი, ხალხი — მეომარი, ხალხი — მომღერალი.

მგზნებარედ უყვარდა ადამიანები, მეტადრე ახალგაზრდობა მისთვის ჭაბუკები და ქალიშვილები დილის მოციმციმე ვარსკვლავები იყვნენ.

სიჭაბუკე და ლექსი ერთია —
ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი!

დროება პოეტისათვის სიმღერა და მეგობრობა იყო. ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის, ყველა იმათთვის, ვინც მას იცნობდა, იგი ღირსეულად განასახიერებდა ქართველ ხალხს, მის კეთილშობილებასა და გულგაშლილობას. ზოგნი პოეტ ლეონიძეს საქართველოს განთიადს უწოდებდნენ, მის ლექსს კი მთებში მზის ამოსვლას, ზოგნი — დამწიფებულ ვენახს...

— აშოტ, მინდა იმდენი ვიცოცხლო, რამდენსაც ვაზი ცოცხლობს, — მითხრა მან და სასმისი ღვინით აავსო. — იცი, რამდენ წელს ცოცხლობს ვაზი?

— არა, — გამოვუტყდი.

— ას ორმოცდაათ წელიწადს! დაიხსომე და უმღერე ვაზს. ადამიანი ვაზია კაცობრიობის ვენახში. ვაზი ღვინოს გვიძღვნის, პოეტი სიმღერებს.

ვინც საბჭოების სამშობლოს ძლიერებას განამტკიცებს, იგი განამტკიცებს მშვიდობას მთელ მსოფლიოში — ამ ფიქრებითა და გრძნობებით გამსჭვალულია პოეტის ლირიკა, რომელმაც შემოიარა ბევრი მომძე რესპუბლიკა და საზღვარგარეთის ქვეყნები. ეს ლირიკა უკვდავების წყაროა, ყველა გული, რომელსაც ის ესხურება, მტკიცეა ცხოვრების, ბრძოლის, ბედნიერების ძიების ძნელ გზაზე.

მომავალი ისტორიკოსი საქართველოსა და სომხეთის საბჭოთა პერიოდის ლიტერატურულ ურთიერთობას რომ შეეხება, მან არ შეიძლება ცალკე თავი არ მიუძღვნას ლეონიძესა და მის პოეზიას. რომელიც ძმობისა და სიყვარულის თასია. მუდამ ამაღელვებელი იყო მისი პატრიოტული გრძნობები. აი გადავშალე მის მიერ საჩუქრად მოძღვნილი წიგნები, რომლების წარწერაც მთავრდება ჩემთვის ძვირფასი სიტყვებით: „ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲫᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ" და ქართული ხელმოწერით. ეს სიტყვები მეტყველებენ ბევრ რამეზე — ჩვენს მეგობრულ შეხვედრებზე ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა ქალაქში, სხვადასხვა ღირსშესანიშნავ დღეებში. ლეონიძე სომხეთში ყოველთვის ისე გრძნობდა თავს, როგორც თავის მამაპაპეულ სახლში, ჭაბუკურად ამაყობდა, რომ „კავკასიის პოეტების ადამი" — ავეტიქ ისააკიანი მისი უახლოესი მეგობარი იყო.

ლეონიძის სიკვდილით სომხეთმა დაკარგა თავისი ერთგული მეგობარი, რომლის ფრთოსან ლექსებსა და სიტყვებს მისი დიდი ნიჭის სომეხ პატივისცემელთა ფართო წრეები იცნობდნენ და უყვარდათ.

არ მინდა დავიჯერო, რომ ვეღარ ვიხილავ პოეტ ლეონიძეს, რომელსაც საქართველოს ცის ლაქვარდის ფერი თვალები და მთების სუნთქვა ჰქონდა. როგორც პოეტმა მან წმინდა ჰეშვით შესვა სხივოსანი პოეზიის მარადიული წყაროს წყალი. ლეონიძის ლექსებში მისი ცოცხალი მაჯა სცემს.

ᲓᲦᲔᲡ

ᲓᲦᲔᲡ, 23 სექტემბერს მწერალთა კლუბში (მაჩაბლის ქ. № 13), გაიმართება გიორგი ლეონიძის ხსოვნის საღამო. სიტყვებით, მოგონებებით გამოვლენ და ლექსებს წაიკითხავენ მწერლები.

დასაწყისი საღამოს 7 ს. 30 წ.

ᲮᲕᲐᲚ

ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, 24 სექტემბერს, დღის 1 საათზე ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში დანიშნულია გიორგი ლეონიძის სამოქალაქო პანაშვიდი.

ჩვენს ყველა-ჭყლეში

გვპატიობინებენ „კომუნისტისა“ და საქმესის კორესპონდენტები

ლენინური მეგობრობის დროშით

სტუმრები ლისვიდან

შვიდი წლის მეგობრობა აკავშირებთ ერთმანეთთან ორი მონათესავე საწარმოს — ქუთაისის ელექტრომექანიკური და ქ. ლისვის (პერმის ოლქი) ტურბოგენერატორების ქარხნების კოლექტივებს.

ამ მეგობრობას საფუძველი ჩაეყარა მაშინ, როცა ქუთაისელი ელექტრომანქანათმშენებლები სრულიად ახალი პროდუქციის — სინქრონული საკომპრესორო ელექტროძრავების წარმოების ათვისებაზე მუშაობდნენ. ელექტრომექანიკური ქარხნის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა დიდმა ჯგუფმა სწორედ დისვაში რუსი მანქანათმშენებლების ძმური და უანგარო დახმარებით შეისწავლა აღნიშნული ძრავების დამზადების ტექნოლოგია. ამ დროიდან ორივე ქარხნის კოლექტივები გულთბილი მიწერ-მოწერით, მოწინავე გამოცდილების გაზიარებით დაუმეგობრდნენ ერთმანეთს.

როცა მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაჩაღდა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება, ქუთაისელმა თანამოსაქმეებმა შეჯიბრებაში გამოიწვიეს ლისველები. ორივე ქარხნის კოლექტივებმა გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს.

ამ დღეებში საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრების პირველი შედეგების შესაჯამებლად ქუთაისს ეწვია ლისველ მანქანათმშენებელთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. მიხეევი, წარმოების უფროსი ვ. ბერეზაევი, საამქროს უფროსი ვ. გორდიენკო და განმმხოლოველი მუშა ა. ზიხოვა.

მეგობრებმა შეაჯამეს შეჯიბრების შედეგები. გამოირკვა, რომ ლისველებმა განვლილ პერიოდში ქვეყანას მისცეს ათასობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, გასწიეს 50 ტონა შავი და 7,5 ტონა ფერადი ლითონის ეკონომია. ვალში არც ქუთაისელები დარჩენილან. მათ რვა თვეში 45 ტონა შავი და 19 ტონა ფერადი ლითონი დაზოგეს.

რუსი მეგობრები ოთხ დღეს დარჩნენ ქუთაისში, დაწვრილებით გაეცნენ ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივის მუშაობას, დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ წყალტუბოში, სათაფლიასა და გელათში.

ოქტომბერში ქუთაისელები ეწვევიან ლისველ მანქანათმშენებლებს.

ე. მაღლაფერიძე.

ისვენებენ ფეიქრები

ქუთაისი. (საკ. კორ.). აბრეშუმის კომბინატის მკესლავმა ა. უგრეხელიძემ თავისი მორიგი შვიდწლეული სოჭის სანატორიუმში გაატარა. ინჟინერი ლ. ძაგნიძე ისვენებდა ოდესაში, ხოლო პარკის დამხარისხებელი მუშა პ. შელეხოვი პიატიგორსკში. დღემდე პროფკავშირული საგზურებით ორასზე მეტმა ფეიქარმა დაისვენა და იმკურნალა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში.

კომბინატის პიონერთა ბანაკში, ზღვისპირა კურორტ მიუსერაში გაატარა ზაფხული მუშა-მოსამსახურეთა 306 ბავშვმა და საბავშვო ბაღის 100 აღსაზრდელმა.

კარგი საჩუქარი

ონი. (საკ. კორ.). მშენებლები კარგ საოქტომბრო საჩუქარს უმზადებენ რაიონის მშრომელებს. უკვე დამთავრდა ტელევიზიის მიმღები სადგურის შენობის აგება. მის აგებაში მრავალმა ასეულმა მუშა-მოსამსახურემ მიიღო მონაწილეობა. ისინი სისტემატურად აწყობდნენ შაბათობებს.

ახლა სულ უფრო ფართოდ მიმდინარეობს მიმღები სადგურის სამონტაჟო სამუშაოები. ყველა იმის ცდაშია, რომ ცისფერი ეკრანის გამოსახულება დიადი იუბილეს ზეიმის დღეს — 7 ნოემბრისათვის მიიღონ.

„ჭიათურა“ უკრაინაში

ჭიათურა. (საკ. კორ.). მესამედი საუკუნეა გულითადად მეგობრობენ ქართველი და უკრაინელი მაღაროელები. ამ მეგობრობა-შეჯიბრებაში იჭედება გამარჯვება, ორი მომმე ხალხი მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს.

ამ დღეებში ჭიათურელმა მაღაროელებმა მიიღეს ნიკოპოლის მარგანეცის ტრესტის კოლექტივის მეგობრული წერილი, რომელსაც ხელს აწერენ უკრაინის კპ ნიკოპოლის საქალაქო კომიტეტის მდივანი მ. კიტაევი, ნიკოპოლის მარგანეცის ტრესტის მმართველი, სოციალისტური შრომის გმირი კ. შჩერბინა, გრუშევის მაღაროს მმართველი ვ. დემჩენკო, ოქტომბრის 40 წლისთავის სახელობის მაღაროს პარტიული კომიტეტის მდივანი ი. კოვალოვი, მნგრეველთა ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი ი. მელნიკოვი და სხვები.

წერილში მოთხრობილია ორი მომმე რესპუბლიკის მაღაროთა მეგობრობის ფესვებსა და მის ნაყოფზე. იქ ნათქვამია, რომ ამ შეჯიბრება-მეგობრობით, პარტიისა და მთავრობის ზრუნვით მაღაროები აღიჭურვნენ უახლესი სამთო ტექნიკით, გაიზარდა მარგანეცის დამზადება, წარმატებით სრულდება საიუბილეო წლის ვალდებულებები, წინ წავიდა მაღაროელთა კულტურა, ყოფაცხოვრება.

წერილი ერთ სასიხარულო ამბავსაც იუწყება:

„ძვირფასნო ჭიათურელნო მეგობრებო! საიუბილეო წელს ჩვენი დიადი მეგობრობის აღსანიშნავად ჭიათურის სახელი მივპაკუთვნეთ ნიკოპოლის მარგანეცის აუზის ერთ-ერთ დიდ საწარმოს გრუშევის მაღაროს“...

„კოლხიდა“ გაემართა აფრიკის სანაპიროსაკენ

ჩვენი გაზეთის რედაქციაში მოვიდა დეპეშა, რომელსაც ხელს აწერს ტრაულერ „კოლხიდის“ კაპიტნის პირველი თანაშემწე თამარაშვილი.

აი რას გვატყობინებენ:

19 სექტემბერს საქართველოს საოკეანო თევზჭერის საამართველოს ტრაულერი „კოლხიდა“ გავიდა შავი ზღვის სანაპიროდან და კურსი აიღო ატლანტიკის ოკეანისაკენ. „კოლხიდისათვის“, რომლის კაპიტან-დირექტორია კომკავშერელი შ. გუნია, ეს მესამე სარეწაო რეისია. ტრაულერის ეკიპაჟის შემადგენლობაში 79 კაცია. ისინი გეგმით რეწვას აწარმოებენ 1968 წლის მარტამდე.

ტრაულერის ეკიპაჟის მოვალეობაა სახელმწიფოს ჩაბარების თევზის სხვადასხვა ასორტიმენტი 27.500 ცენტნერის რაოდენობით, გამოუშვეს 783,7 ცენტნერი თევზის ფქვილი.

ტრაულერ „კოლხიდის“ ეკიპაჟის წევრები, რომლებმაც ახლახან დატოვეს მშობლიური ქვეყნის ნაპირები, კარგად გრძნობენ თავს. ქართველი მეთევზეები აწარმოებენ რეწვას აფრიკის დასავლეთ სანაპიროსთან. ისინი ეცდებიან ბეჯითი შრომით ღირსეული საოქტომბრო საჩუქარი მოუმზადონ სამშობლოს.

• თქვენთვის, ცნობისმოყვარენო •

გაქვავებული ტყე

ვლადივოსტოკი. ზღვისპირეთში გეოლოგებმა იპოვეს გაქვავებული ტყე, რომელიც რამდენიმე მილიონი წლის წინათ შრიალებდა. ხის ტოტებმა და ფოთლებმაც კი მთლიანად შეინარჩუნეს ფორმა.

გეოლოგებს მიაჩნიათ, რომ კურდიომოვსკის ბეჭობის რაიონში აღმოჩენილი ძველთაძველი ოაზისის მშვიდობიანი ცხოვრება დაარღვია ვულკანის მძლავრმა ამოფრქვევამ. ვულკანური ფერფლის უზარმაზარმა მასებმა ოცი-ოცდაათი მეტრი სიხქის ფენით დაფარეს ტყე, ასეთმა სილრმემ საუკეთესო პირობები შეუქმნა ხეების გაკაჟებას.

ზღვისპირეთის „ქვის“ ხე ძვირფასი ნედლეულია საიუველირო ნაკეთობათა დამზადებისათვის.

ჯუნგლები სახლში

ვორონეჟი. ცისარტყელა ს ყველა ფერის თუთიყუშებია შეკრებილი ვორონეჟის ეზოგრეტიული ტექნიკუმის ფიზიკულტურის მასწავლებლის ვ. კ. აფანასიევის ბინაში. ფრინველები დაფრინავენ ოთახებში, ქანაობენ სპეციალურ საქანელებზე, იქიქვნიან საკვებურებში, ბარტყები სწავლობენ ფრენას, დედლები დარაჯობენ ბუდეებს, მამლები უსტვენენ მელოდიებს. სწორედ რომ ჯუნგლია ბინაში, მაგრამ სისუფთავეცაა.

ავსტრალიელი თუთიყუშებს აფანასიევები დიდი ხანია თავს ეკლებიან. ოთხი წლის წინათ მათ იყიდეს ორი წყვილი, წელს კი უკვე ასამდე თუთიყუში ჰყავთ.

პეტროტორეადორი

ოდესის ოლქის კოლმეურნეობა „მეგობრობის“ ფერმაში რაღაცით გაჯავრებულმა ხარმა აიწყვეტა და ეცა ფერმის მუშას. თავდაპირველად მან მოიგერია ხარი, მაგრამ გაოფორებული ცხოველი გაეკიდა მას. ხარმა წაეცია იგი და მოემზადა გაეფატრა რქებით.

ამ დროს ფერმაში გაჩნდა დიდი „კრაზი“. შოფერმა ს. პივტორაკმა უმალვე მიიღო გადაწყვეტილება და მანქანა ხარისაკენ დასძრა. ხარმა უკან არ დაიხია. მაშინ პივტორაკი გაშმაგებულ ცხოველს ბუფერით მიაწვა და მანქანა ფრთხილად წაიყვანა ისე, რომ უგონოდ მყოფი კაცი თვლებს შორის აღმოჩნდა, მანქანის კორპუსის ქვეშ.

საზრიანმა შოფერმა გადაარჩინა ადამიანი. (საკ.).

პ. ოდიშარია

გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი, სბპკთა ... ორდენ-მედალოსანი, კომუნისტური პარტიის წევრი 1939 წლიდან, ... კომკავშერელიკის სოფლის მეურნეობის კვალიფიციური სპეციალისტი პავლე გიორგის-ძე ოდიშარია.

პ. ოდიშარია დაიბადა 1904 წელს სოფელ გეგეჭკორში, ლეხის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1924 წლიდან 1930 წლამდე მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. 1930 წელს შევიდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მცენარეთა დაცვის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ 1933 წლიდან მუშაობდა აგრონომ-ენტომოლოგად.

1934 წლიდან პ. ოდიშარია მუშაობდა მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში სექტორის გამგედ, დიდხანს იმუშავა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში მცენარეთა დაცვის განყოფილების უფროსად, „საქსოფლომმარაგების“ მმართველად, საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტროში მცენარეთა დაცვის სამმართველოს უფროსად, ხოლო 1961 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის თანამდებობაზე.

პ. ოდიშარია სოფლის მეურნეობის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მთავრობის მიერ დაჯილდოებული იყო „სპატიონ ნიშნის“ ორდენით და ორი მედლით. კარგი მუშაობისათვის მიღებული ქქონდა აგრეთვე მრავალი მადლობა და სხვადასხვა ჯილდოები.

პავლე გიორგის-ძე ოდიშარიას სახით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სისტემამ დაკარგა მაღალკვალიფიციური მუშაკი და კარგი ხელმძღვანელი, ხოლო მისმა ამხანაგებმა თავმდაბალი ადამიანი და გულისხმიერი მეგობარი, რომლის ხსოვნაც სამუდამოდ იცოცხლებს მათს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

... ...

... ...



თბილისის საერთაშორისო...

ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის გუშინდელი მატჩიდან თითქმის ყველაზე დიდ ინტერესს ვაჟთა ნახევარფინალური შეხვედრა იწვევდა. აქ ერთმანეთის პირისპირ იდგა ჰოუ-კაკულიას და ეგოროვ-კოროტკოვის ორი ძლიერი წყვილი. უნდა ითქვას, რომ ორივე მხარემ აჩვენა შესანიშნავი თამაში, მაღალი ხატოვნობა. მაგრამ, რაც მთავარია, ჩოგბურთის მოყვარულთა აღფოთოვანება და სიხარული იმითაც იყო გამოწვეული, რომ ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა წარმომადგენელმა თ. კაკულიამ ღირსეული პარტნიორობა გაუწია ცნობილ ავსტრალიელ ჩოგბურთელ რ. ჰოუს. შეხვედრა მოიგო ჰოუ-კაკულიას წყვილმა — 6:3, 7:5, 5:7, 5:7, 10:8.

ვაჟთა ერთეულებში ა. მეტრეველმა ძნელ ბრძოლაში სძლია რუმინელ ჰ. მარმურიანუს — 6:2, 6:4, 6:4. თ. ლეიუსმა ვ. პერეგუდოვს—6:3, 11:9, 6:2. დღეს გამარჯვებულნი ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან.

ქალთა მეოთხედფინალში გ. ბაკშეევამ ადვილად დაამარცხა ე. იზოპაიტისი — 6:1, 6:1, ჩეხოსლოვაკელმა ვ. ვოპიჩკოვამ — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი ბ. ჰოფმანი — 6:2, 6:3.

შერეულ წყვილებში დმიტრიევა-მეტრეველმა დაამარცხეს უნგრელები საბო-მახანი — 6:4, 6:1, მეორე საბჭოთა წყვილმა ივანოვა-ლიხაჩოვამ — ჩეხოსლოვაკიელი ჩოგბურთელები ვოპიჩკოვა-შაფაროვა — 7:5, 6:2.

• • •

სურათზე: ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი — ბელგიელი ი. ლიიესი (მარცხნიდან), შვედები ე. ლუნდკვისტი და მ. ჰეგელი. ფოტო მ. ზარგარიანისა.

რეკორდები თბილისის სასრიოლეთზე

თბილისში დამთავრდა საბჭოთა არმიის საბმელეთო ჯარების მსროლელთა შეჯიბრება. ჩემპიონატის ბოლო დღეს თავი ისახელა გერმანიაში განლაგებული საბჭოთა ჯარების ჯგუფის წარმომადგენელმა ზემდეკმა ვ. ლუკიანჩუკმა. მან ნიბისმიერი შაბნით 300 მეტრ დისტანციაზე სამივე მდგომარეობიდან (წოლილა, ჩოქილა და დგომილა) სროლაში 600 შესაძლებლიდან 590 ქულა მოაგროვა. ეს ახალი საკავშირო რეკორდია.

საკავშირო მეორე მოწვევის ავტორი გახდა საბჭოთა არმიის ლეიტენანტი ვ. გერტი, ჩოქილა მდგომარეობიდან არმიული შაბნით 300 მეტრზე სროლაში მან 194 ქულა მოაგროვა.

საბჭოთა არმიის სახმელეთო ჯარების ჩემპიონი გახდა ავრეთვე ამერაკავკასიის წრფელდროშოვანი სამხედრო ოლქის წარმომადგენელი სნაპერი ა. გაზოვი. მან გაიმარჯვა „გაქცეულ ირემზე“ სროლაში.

(საქდესი).

... ...



... ...

... ...

... ...

... ...

... ...

... ...